საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

09 დეკემბერი, 2013 წ. ქ. ბათუმი

ბრძანება №01-09/739

რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამაზე ,,სამედიცინო რადიოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფროსის მოადგილის 2012 წლის 23 ოქტომბრის №02/66547 და 2013 წლის 07 ოქტომბრის №02/90152 წერილების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის „სამედიცინო რადიოლოგია“ დამტკიცების შესახებ ბსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 მარტის №77 დადგენილების, ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ხელმძღვანელის, მედიცინის დოქტორ დავით ცეცხლაძის 2013 წლის 09 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ფარგლებში მოქმედი სარეზიდენტო პროგრამის ,,სამედიცინო რადიოლოგია“ ვაკანტურ 26 ადგილზე გამოცხადდეს მისაღები კონკურსი;

2. საექიმო სპეციალობის მაძიებელთა განცხადებებისა და საბუთების მიღება იწარმოებს ბსუ–ს კანცელარიაში 2013 წლის 10 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით 10სთ–დან 18სთ–მდე, შაბათ–კვირის გარდა;

3. თუ სპეციალობის მაძიებელთა რაოდენობა აღემატება 26–ს, ჩაირიცხება ის პირი, რომელსაც ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიღებული აქვს უფრო მაღალი შეფასება.

თანაბარი შეფასების შემთხვევაში საუკეთესო გამოვლინდება შესაბამის სპეციალობაში ჩატარებული ტესტირების შედეგად;

4. სპეციალობის მაძიებლის ჩარიცხვის ბრძანება გამოცემულ იქნას კონსკურსის შედეგების შესახებ სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე;

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

6. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ–ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე განთავსდეს კანცელარიასთან და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანატთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

საექიმო სპეციალობის მაძიებელთა საყურადღებოდ!

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციას საექიმო სპეციალობაზე: **„სამედიცინო რადიოლოგია“.**

რეგისტრაციისათვის საექიმო სპეციალობის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. **განცხადება რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესახებ (დადგენილი ფორმის მიხედვით);**
2. **უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომი და დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);**
3. **საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობა (მოწმობა და მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი); ექიმ–სპეციალისტებისთვის – დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი (სერთიფიკატი და სერთიფიკატის ნოტარიულად დამოწმებული ასლი);**
4. **სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის);**
5. **პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (მოწმობის ასლი);**
6. **ავტობიოგრაფია (CV);**
7. **ფოტოსურათი 3X4სმ ზომით – 2 ცალი.**

საბუთების მიღება იწარმოებს **2013 წლის 10 დეკემბრიდან 27 დეკემბრის** ჩათვლით ყოველ დღე შაბათ–კვირის გარდა 10:00 სთ–დან 18:00 სთ-მდე. მისამართი: ქ. ბათუმი, ე. ნინოშვილის ქ. N35, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კანცელარია. ტელ.: 27-17-86